# ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა



| ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები | |
|---|---|
| ნოემბერში ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი საქართველოში* | 5.5 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე |
| ნოემბერში ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი თურქეთში* | 4.7 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე |
| ნოემბერში ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი* | 4.2 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე |
| ნოემბერში იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი | 5.8 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე |
| შიდა მოხმარების ზრდა 11თ15, კვტ/სთ | 3.4 % |
| ელექტროენერგიის ექსპორტის ზრდა 11თ15, კვტ/სთ | 23.7 % |
| თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის ზრდა 11თ15, კვტ/სთ | 39.4 % |

** საშუალო გაცვლითი კურსი ნოემბერში GEL/US$ =2.4017; TRY/US$=2.8712*

*** აფხაზეთის რეგიონის ჩათვლით*

**სემეკმა რეგულირებულ საწარმოებს ახალი ტარიფები დაუდგინა 2016 წლის სარეგულაციო პერიოდისთვის (იანვარი - დეკემბერი).** რეგულირებულ საწარმოებად ითვლებიან 2008 წლამდე აშენებული ჰესები, ყველა თბოელექტროსადგური, გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი (სსე), და განაწილების ლიცენზიის მფლობელი კომპანიები. ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი გადაიხედა 9 რეგულირებული ჰესისათვის (იხ. ცხრილი 1). ცხრავე ჰესი ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯიას მფლობელობაშია. ტარიფების დადგენა ლიცენზიანტის მიერ წარდგენილი განაცხადისა და ბიზნესგეგმის საფუძველზე ხდება და ითვალისწინებს იმ საოპერაციო და კაპიტალურ დანახარჯებს, რომელიც კომპანიამ უნდა გაიღოს იმ კონკრეტულ პერიოდში, რომლისთვისაც ტარიფი დგინდება. ტარიფში სემეკი ასევე განსაზღვრავს გონივრული მოგების მარჟას. გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი გადაიხედა სამი თბოელექტროსადგურისთვისაც (იხ. ცხრილი 2). სემეკმა გადაცემის ტარიფი 0.5%-ით შეამცირა 0.754 თეთრამდე, დისპეტჩერიზაციის საფასური კი 3.9%-ით 0.098 თეთრამდე. სემეკმა ასევე გადახედა ტრანს-სასაზღვრო ხაზების მფლობელი კომპანიის, ენერგოტრანსის, გადაცემის ტარიფებს. მარეგულირებელმა 500 კილოვოლტიან შიდა ხაზზე ტარიფი 55.6%-ით, 0.42 თეთრამდე გაზარდა, 400 კილოვოლტიან საექსპორტო ხაზზე კი 17.1%-ით, 0.29 თეთრამდე შეამცირა. ახალი ტარიფები ძალაში იქნება 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

### ცხრილი 1: წარმოების ახალი ტარიფები რეგულირებული ჰესებისათვის

| ჰესი | ახალი ტარიფი, კვტ/სთ | ცვლილება |
|---|---|---|
| საცხენისი | 0.062 | +164.8% |
| ორთაჭალა | 0.025 | არ შეცვლილა |
| აწჰესი | 0.041 | +5.6% |
| რიონი | 0.038 | +9.3% |
| გუმათი | 0.024 | -34.5% |
| ლაჯანური | 0.021 | -45.7% |
| ძევრულა | 0.028 | -28.2% |
| შაორი | 0.026 | -32.3% |
| ზაჰესი | 0.052 | +268.0% |

*წყარო: სემეკი*

### ცხრილი 2: თბოელექტროსადგურების ახალი ტარიფები

| თბოელექტროსადგური | გარანტირებული სიმძლავრის საფასური, ლარი/დღე | ცვლილება | წარმოების ახალი ტარიფი, ლარი კვტ/სთ-ზე | ცვლილება |
|---|---|---|---|---|
| ჯი-ფაუერი (110მგვტ) | 41,671 | -1.6% | 0.085 | +12.3% |
| მტკვარი ენერგეტიკა (300მგვტ) | 59,957 | -6.0% | 0.108 | -1.1% |
| თბილსრესი (300მგვტ) | 49,400 | +10.5% | 0.113 | +10.9% |

*წყარო: სემეკი*

**ნამახვანის ჰესების კასკადმა, 433 მგვტ დადგმული სიმძლავრით, 2016 წლის დასაწყისში მშენებლობის ნებართვა უნდა მიიღოს.** ნამახვანის კასკადის მშენებლობა-ოპერირება-ფლობაზე (BOO) ინტერესთა გამოხატვა 2015 წლის 25 დეკემბერს გამოცხადდა. ნამახვანის კასკადი 2 ჰესისგან შედგება და სავარაუდო წლიური გამომუშავება 1,514 გვტ/სთ-ია. პროექტის სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება 730 მლნ აშშ დოლარით არის განსაზღვრული. ამჟამად კასკადის პროექტი სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს (GEDF) ეკუთვნის.

**ნინო პაპავა**
კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693
**თამარ ქურდაძე**
ანალიტიკოსი | tamarkurdadze@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

**გასული 5 წლის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით საქართველოს ენერგეტიკის სექტორმა 860 მლნ აშშ დოლარი მიიღო.** სექტორებს შორის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის შემდეგ, ენერგეტიკაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი მოდის და მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 15% შეადგინა გასული 5 წლის განმავლობაში (ტრანსპორტი და კომუნიკაცია - 23.4%). ენერგეტიკაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი ელექტროენერგიის წარმოების სექტორში მიდის. ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემების თანახმად, გასული 3 წლის განმავლობაში, ჰიდროელექტროსადგურების განვითარებაში ჯამურად 283 მლნ აშშ დოლარი ჩაიდო. ამის შედეგად, ქვეყნის ენერგოსისტემას ჰესების სახით 170 მგვტ დადგმული სიმძლავრე შეემატა. სექტორის განვითარებაში აქტიურად არის ჩართული კომერციული საბანკო სექტორიც და ელექტროენერგიის წარმოების მიმართულებით გასული 3 წლის განმავლობაში 100 მლნ აშშ დოლარამდე სესხი გასცა.

## ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი

**ელექტროენერგიის მოხმარება ნოემბერში წლიურად 4.3%-ით დაეცა.** მოხმარების სხვადასხვა კატეგორიებიდან, მხოლოდ აფხაზეთის რეგიონის მოხმარება გაიზარდა და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 7.1%-ით მოიმატა. ნოემბერში აფხაზეთის რეგიონის მოხმარებამ მთლიანი შიდა მოხმარების 20%, ხოლო 2015 წლის 11 თვეში 16.7% შეადგინა. აფხაზეთის რეგიონის მოხმარების ტენდენცია გასული 5 წლის მანძილზე სტაბილურია და ამ ნიშნულის გარშემო ტრიალებს, თუმცა მოხმარების ზრდის ტემპი 2015 წელს გაორმაგებულია და თითქმის წლიურ 10%-ს აღწევს. პირდაპირი მოხმარების (კვალიფიციური საწარმოები) კლება მთლიანი მოხმარების ვარდნის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია. კვალიფიციური საწარმოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2015 წლის ნოემბერში 32.1%-ით არის შემცირებული. ელექტროენერგიის მოხმარება 2015 წლის 11 თვის მონაცემებით 3.4%-ით არის გაზრდილი. ნოემბერში შემცირებულია ექსპორტიც. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ნოემბერში 28.1%-იანი ვარდნა ფიქსირდება, 28 გვტ/სთ-დან 2014 წლის ნოემბრიდან, 20 გვტ/სთ-მდე 2015 წლის ნოემბერში. ფარავანი ჰესი ერთადერთი ექსპორტიორი იყო ნოემბრის თვეში და გამომუშავებული ელექტროენერგია მთლიანად თურქეთში გაიტანა. შემოსავალი ელექტროენერგიის ექსპორტიდან ნოემბერში წლიურად 59.5%-ით არის შემცირებული, რაც ასევე ამცირებს საშუალო საექსპორტო ფასს 4.2 აშშ ცენტამდე კვტ/სთ-ზე 2015 წლის ნოემბერში, 7.2 აშშ ცენტიდან 2014 წლის შესაბამის თვესთან შედარებით. 2015 წლის 11 თვის მონაცემებით ექსპორტი გაზრდილია 23.7%-ით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

**2015 წლის ნოემბერში ელექტროენერგიის გამომუშავება უმნიშვნელოდ, 0.9%-ით, გაიზარდა.** თბოელექტროსადგურების გამომუშავება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 29.9%-ით არის გაზრდილი, ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია კი 9.6%-ით არის შემცირებული მცირე ნალექის შედეგად. თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულმა ელექტროენერგიამ მთლიანი გამომუშავების 30% შეადგინა. 2014 წლის ნოემბერში ეს მაჩვენებელი 23%-ზე იყო. გარდაბნის თბოელექტროსადგურმა თბოელექტროსადგურების მთლიანი გამომუშავების 1/3 უზრუნველყო, დანარჩენი 2/3 მტკვარი ენერგეტიკას უჭირავს. ელექტროენერგიის იმპორტი ნოემბერში შემცირებულია წლიურად 40.1%-ით. წელს იმპორტის დიდი ნაწილის ჩანაცვლება თბოელექტროსადგურების მიერ ადგილობრივად გამომუშავებული ელექტროენერგიის საშუალებით მოხდა.

### გრაფიკი 1: ელექტროენერგიის გამომუშავება და მოხმარება, გვტ/სთ




*წყარო: ესკო*

### გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარების გადანაწილება, 2015 წლის ნოემბერი




*წყარო: ესკო*

## ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში

**2015 წლის ნოემბერში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში, დოლარში გამოსახული, 16.9%-ით შემცირდა წინა წლის შედარებით მაღალი მაჩვენებლიდან.** აღსანიშნავია, რომ ლარში გამოსახული, საბალანსო ელექტროენერგიის ფასი, 12.3%-ით გაიზარდა. ამ განსხვავების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ლარის გაუფასურებაა. ლარის გაუფასურების მიუხედავად, ელექტროენერგიის ფასზე წნეხის შემცირებაში დიდი როლი ითამაშა ადგილობრივად, თბოელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიით იმპორტირებული ელექტროენერგიის ჩანაცვლებამ. მაგალითად, გარდაბნის თბოელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი, გამოსახული ლარში, იმპორტირებული ელექტროენერგიის ფასზე თითქმის 2-ჯერ ნაკლებია. ელექტროენერგიის ფასები თურქეთში, ლირაში გამოსახული, ნოემბრის თვეში წლიურად 25.9%-ით არის შემცირებული; დოლარში გამოსახული, თურქული ლირას გაუფასურების ნიადაგზე, კი წლიურად 42.2%-ით. მიუხედავად თურქეთში ელექტროენერგიაზე ფასების დაცემისა, საქართველოდან ექსპორტირებული ელექტროენერგია ინარჩუნებს კონკურენტუნარიანობას - ქართული ელექტროენერგიის საშუალო საექსპორტო ფასი თურქულ საშუალო შეწონილ ფასზე 11%-ით დაბალია.

### გრაფიკი 3: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში




*წყარო: ესკო, EPIAS*

# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამომწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**კვლევების დეპარტამენტის უფროსი**
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

**მთავარი ეკონომისტი**
კობა გვენეტაძე | kgvenetadze@gt.ge

**ეკონომისტი**
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

**ეკონომისტი**
ალიმ ჰასანოვი | ahasanov@gt.ge

**უფროსი ასოცირებული ანალიტიკოსი**
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**
დავით ნინიკელაშვილი | dninikelashvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**
დავით ქუტიძე | dkutidze@gt.ge

**ანალიტიკოსი**
თამარ ქურდაძე | tamarkurdadze@gt.ge

**გალტ ენდ თაგარტი**
**მისამართი:** აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
**ტელ:** + (995) 32 2401 111
**ელ. ფოსტა:** research@gt.ge